

რამდენიმე საერთოქართველური ლექსემისათვის

ავტორი მაკა ლაბარტყავა

არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი (საქართველო)

ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი

ელფოსტა: labartkavamaka@gmail.com

ანოტაცია

მოხსენებაში განხილულია „მთა-კლდის“ ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები (კონცხი, წვერო, ზეგანი, კინწრუხა, ქიმი, ნაპრალი, ცხვირი, შტო, გოხი, კალთა, ფიქალი, კინკრიხო, ცერი).

გაანალიზებულია მთა-კლდის ნაწილების აღმნიშვნელი, საერთოქართველური ძირის მქონე ლექსემები [მაგ.: ს.-ქართველ. *კონცხ „მწვერვალზე ასვლა, მწვერვალი“ → ქართ. კონცხი : ზან. კინჩხი-ი || კენჩხი-ი ← კონჩხი-ი: სვან. კწრჩხ- || კწრჩხ || კორჩხ- (←*კონჩხ-); ს.-ქართველ. *კონწ- „მწვერვალი, კენწერო, თხემი, თემო“ → ქართ. კონწ-უ-ხ-ი || კუნწ-უ-ხ-ი, კუნწ-ი, კუნწ-ულ-ი, კენწ-ერ-ო ← *კონწ-ერ-ო : ზან. კვინჭ-გ-ხ-ე ← *კონჭ-უხ-ე, კუჭ-ან-ი ← *კონჭ-ან-ი; ქართულში ცერ – ცერი გვაქვს, რომელსაც მეგრულში ჩანჯ – (ჩან – ჩანჯ-ი კით-ი (ჩან-ი – კით-ი / ჩან – კით-ი „ცერი“ შეესაბამება, ხოლო სვანურში ჩერ – ჩერ –შდ-ოლ (ბალსზემოურში) ჩერ – შტ-ოლ / ლაშხურში), აღდგენილია *ცერ არქექტივი ქართულ-ზანურ ერთიანობის ხანისათვის]...

განხილულია ის ლექსიკური ერთეულები, რომელთაც შესატყვისები ეძებნებათ ქართველურ ენებში.

აგრეთვე წარმოდგენილია მოტივაციით მიღებულ სახელთა ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: მთა, კონცხი, წვერი, ზეგანი, საერთოქართველური.

საქართველო ბარის, მთისა და წყლის ერთგვარ შეერთებას, ერთიანობას წარმოადგენს. თავის მხრივ, ბარიც, მთაცა და წყალიც ნაირგვარია და ამ სახელებთან დაკავშირებულია ის მდიდარი ლექსიკა, რომელიც ქართველ ხალხს, საქართველოს ყველა კუთხეს შეუქმნია საუკუნეების განმავლობაში.

მთასთან დაკავშირებული ლექსიკა რამდენიმე თემატურ ჯგუფს ქმნის. ესენია: უშუალოდ „მთისა“ თუ „კლდის“ აღმნიშვნელი სახელები; „მთა-კლდის“ სხვადასხვა სახეობათა გამომხატველი ლექსიკური ერთეულები; „მთა-კლდის“ ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები; „მთა-კლდესთან“ მდებარე ობიექტების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფთაგან საინტერესო სურათს იძლევა მთა-კლდის ნაწილების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები. ესენია: კონცხი, წვერო, ზეგანი, კინწრუხა, ქიმი, ნაპრალი, ცხვირი, შტო, გოხი, კალთა, ფიქალი, კინკრიხო, ცერი. ამათგან უმრავლესობას შესატყვისები ეძებნება ქართველურ ენებში. რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს კი საერთოქართველური ძირი აქვს.

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ლექსემა კონცხის მნიშვნელობაა: „1. ცხვირი კლდეთა მაგარი და ძნელოვანი“ (საბა), 2. გეოგრ. ზღვაში წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი (კლდოვანი)“ (ქეგლი IV 1955: 1333), ქართულ საბჭოთა

ენციკლოპედიაში კი ის ასეა განმარტებული: „ზღვაში, ტბაში ან მდინარეში შეჭრილი ხმელეთის სანაპიროს ნაწილი – აგებულია მკვიდრი ქანებით ან ნატანით“ (ქსე 1980: 654). მეგრულში ლექსემა **კონცხს** შეესაბამება სიტყვა **კონჩხ-**, **კონჩხი** იგივე – „ნაპირი, კლდე“. ეს ლექსიკური ერთეული დასტურდება აგრეთვე ძველ ქართულში: **კონცხნი** კლდისანი, ერთი იმიერ და ერთი ამიერ, I მეფ. 14,4 0; ჰყვანდა მათ თანა ჯორი ერთი და ივლტოდა მათგან და მიიწია იგი **კონცხსა** ერთსა მთისასა, Sin-46 213v, 3-5 და სხვა. „ქართულ **კონცხ-** (<**კონცხ-***) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **კონჩხ-**. საყურადღებოა ის გარემოება, რომ მეგრულ ძირს უნდა უკავშირდებოდეს **კონჩხ-** ტოპონიმი (იგულისხმება ინჩხურის თემი, რომელიც მდებარეობს ცაგერის რაიონში)“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 290).

მერაბ ჩუხუა შენიშნავს, რომ ქართულ **კონცხს** სვანურში (სხვადასხვა დიალექტში) შეესაბამება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: „**კწრჩხ** || **კწრჩხ-** || **კწრჩხ-** || **კორჩხ-**, **ხ-ე კწრჩხ-** ი -ბალსზემოურში, **ხ-ე კწრჩხ-** ი ბალსქვემოურში, **ხ-ე-კწრჩხ-** ი ლაშხურში, **ხ-ე კორჩხ-** ი ლენტეხურში. მაგ.: „ცოცდება (ხეზე, კლდეზე...)“. სვანურში სიტყვა **კონცხს** შეესაბამება **კენჩხ-** ი || **კინჩხ-** ი „ქედი“. სვანურში ლენტეხური დიალექტის ჩვენება უძველესია. ამოსავალი **ო-ს** უ ლაბიალური ელემენტის (ვა) გაუჩინარების კვალი ჩანს **ა-ს** სიგრძეში – **კორჩხ-** → ***კუტარჩხ-** → **კწრჩხ-**. **კწრჩხ-**//**კარჩხ-** სვანურ წყაროს ვარაუდობს ლეჩხუმურ დიალექტში დადასტურებული ლექსიკური ერთეული **კანჩხა** – „ძლიერ მაღალი“. ქართულ **ნ-ს** ამ შეპირისპირებაში **რ** შეესაბამება სვანურში.

მეცნიერი საერთოქართველურ ძირს აღადგენს : ს.-ქართვ. ***კონცხ** „მწვერვალზე ასვლა, მწვერვალი“ → ქართ. **კონცხ-** ი : ზან. **კინჩხ-** ი || **კენჩხ-** ი ← **კონჩხ-** ი: სვან. **კწრჩხ-** || **კწრჩხ** || **კორჩხ-** (←***კონჩხ-**) (ჩუხუა 2002-2003: 122).

მაგალითები:

ქართ.: „**კონცხზე** თხა ასულა“, მეგრ.: „**კონჩხიშა** ერცქემს იშულებუ“, სვან.: „**კაჩხი** დაჯგლ ჟომჩედ“ (ჩვენი მასალებიდან).

მთა-კლდის ნაწილის აღმნიშვნელია ლექსიკური ერთეული **კუნწულა**, რომელიც ასე განიმარტება: „1. ნაყოფით დახუნძლული შტო, რამდენიმე ნაყოფი ერთ ღეროზე ამოსული; 2. აცმა, შეკრულა; 3. “წვერო, თხემი, მწვერვალი (შდრ. **კუნწუხ-** ი): [ქარმა] ზვინის აჩეჩილი გვერდები ჩამოვარცხნა, **კუნწულიდან** ხმელი თოვლი ჩამოფერთხა“ (ქეგელი IV 1955: 1431). მეგრულში მისი შესატყვისია **კორკონტი** || **კორკონტია**, რომელიც **ო.** ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ ასეა განმარტებული: „წვერი, კენწერო, ფოჩი“ (ქაჯაია II: 158). ქართული ენის მთის დიალექტებში, მაგალითად, ქიზიყურში **კონწუხი** ნიშნავს: „მწვერვალი ხისა, მთისა, წვერი, თხემი“, მთიულურში კი –“შორი, გადაკარგული ადგილი“.

საინტერესოა მ. ჩუხუას თვალსაზრისი ამ ლექსიკური ერთეულების შესატყვისებზე ქართველურ ენებში.

ქართულში **კუნწუხი** „ხის კენწეროს“ ნიშნავს. სვანურში (მეგრ.) მას შეესაბამება სიტყვა **კვინჭგხ-ე** –“თემო, ბარძაყი“. სვანურში შესატყვისი არ გვაქვს. მეცნიერს ამ ლექსიკური ერთეულის უფრო ძველ ფორმად ქიზიყური **კონწუხ-** ი მიაჩნია – **კონწუხი** → || **კუნწუხ-** ი (ასიმილაციით). არქაულ **კუნწუხ** ფუძეს კანონზომიერი შესატყვისი ეძებნება მეგრულში – **კვინჯგხ-ე** || **კვინჭიხ-ე**, რომლის მნიშვნელობაცაა: „თემო, ბარძაყი“. აქ პირველ ნაწილში **ო** → **ვი** პროცესი ვლინდება, შდრ. სხვა შესატყვისობები ქართ. **კ** : ზან. **კ**, ქართ. **ნ** : ზან. **ნ**, **წ** : **ჭ**, **უ** : **გ** → || **ი** ← ***უ**. **ხ** : **ხ**, **კონწუხ-** /**კუნწუხ-** : **კვინჯგხ-ე** ← ***კონჭუხ-ე**. მეცნიერის აზრით, ამ შეპირისპირებას უნდა დაემატოს რაჭისი **კუნწ-** ი, მობურსი **კუნწ-ულ-** ი, ქიზიყურში **კუნწ-ულა** „ხეხილის მსხმოიარე ტოტი“, ასევე ქიზიყურში **კოწ-ოლა** „კენწერო“, ჭანურში **კუჭ-ან-** ი „თავი, კენწერო“, რომლებიც **კონწ** სეგმენტს გამოგვაცოფინებს საერთო ძირად, შდრ. : **კენწ-ერ-ო** ← ***კონწ-ერ-ო**.

ს.-ქართვ. ***კონწ-** „მწვერვალი, კენწერო, თხემი, თემო“ → ქართ. **კონწ-უ-ხ-** ი || **კუნწ-უ-ხ-** ი, **კუნწ-** ი, **კუნწ-ულ-** ი, **კენწ-ერ-ო** ← ***კონწ-ერ-ო** : ზან. **კვინჭ-გ-ხ-ე** ← ***კონჭ-უხ-ე**, **კუჭ-ან-** ი ← ***კონჭ-ან-** ი.

მ. ჩუხუა საერთოქართველურ *კონწ-ს გენეტურად უკავშირებს ს. ნახ. კუჭ – „მთის წვერი“ – ფორმას (ჩუხუა 2002-2003: 131).

მაგალითები:

ქართ.: „კონწუხზე ბულბული დაბრძანებულა“, მეგრ.: „კვინჭხეზე მაფმალიას დუზოჯინუ“...

„მთა-კლდის“ ნაწილზე მიანიშნებს ლექსიკური ერთეული წვერო – „რისამე წაწვრილ-ბული ზედა ნაწილი“ (ქეგლი VIII 1964: 1076). მეგრულში ამ ლექსიკურ ერთეულს აღნიშნავს სიტყვა წვანჯი. წვანჯი იგივეა, რაც წვანდი – „წვერი, წვეტი, რისამე წვეტიანი ბოლო“, რომელსაც სვანურში შეესაბამება სიტყვა კაცხ „წვერო“ (ბალსქვემოურში) (-იმ, კაცხპრ) ზემოსვანურსა და ლენტეხურში, კეცხ (-არ) ლაშხურში – კენწეროს ზედა ბოლო (თოფურია, ქალდანი 2000: 305);

მაგალითები:

ქართ.: „მთის წვერზე ყვავილები ამოსულა“, მეგრ.: „გოლაშ წვანჯის ყვავილებს იშურთუმუ“, სვან.: „ლახჷშჷმ კაცხჷი ყვავილჷრ ახგენენჷხ“ (ჩვენი მასალებიდან).

აგრეთვე მთა-კლდის ნაწილის აღმნიშვნელია ლექსემა ზეგანი, რომლის შესახებ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: „ვაკე ადგილი მთაზე, მაღლობზე (ქეგლი IV 1955: 111); ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ის ასე განიმარტება: „დედამიწის ვრცელი, მოსწორებული და ამაღლებული მონაკვეთი, რომელიც ხანგრძლივი ბაქნური რეჟიმის პერიოდში დენუდაციას განიცდიდა, ხოლო ტექტონ. აზეგებისა და გამლიერებული პროცესების შედეგად ღრმად დანაწევრდა“ (ქსე 1979: 493); სულხან-საბას ლექსიკონში ამ ლექსიკური ერთეულის შესახებ ვკითხულობთ: „არც მეტად მთა იყოს და არც ბარი, საშუალი“ (საბა 1991: 278).

აღსანიშნავია, რომ მეგრულში სიტყვა ზეგანის მნიშვნელობით გამოიყენება ლექსიკური ერთეული გაბარი, რომელსაც ო.ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში“ შემდეგნაირად არის განმარტებული: გაბარი – ზეგანი; სწორზედაპირიანი ბორცვი; მაღალი სერი“, ხოლო სვანურში ლექსემა ზეგანს სიტყვა ზაგარ შეესაბამება. გადატ. მნიშვნელობით ზეგანს ფაფალ ჰქვია.

მაგალითები:

ქართ.: „ზეგანს ალამაზებს ცხენები“, მეგრ.: „გაბარს ასკვამენს ცხენეფი“, სვან.: „ზაგარს ჩაჷრ ათელჷშიხ“ (ჩვენი მასალებიდან).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ნაპრალი არის „გახეთქილი, ჩანგრეული ადგილი, დიდი და ღრმა ნაბზარი; კლდის ნაპრალი“ (ქეგლი V 1958: 1353); ილ. აბულაძის ლექსიკონში ნაპრალი შემდეგნაირად განიმარტება: „პარეხი; ნაპრალი კლდეთა შორის; კიბის საფეხური. შთამოაბა თავი თ, სი პარეხსა მას კლდისასა“ (აბულაძე 1973: 337). საბასთან ნაპრალი განიმარტება როგორც „განახეთქი“ (საბა 1991: 576), სვანურში კი ნაპრალის აღსანიშნავად დასტურდება „ბღე; ბღე (ბღე – მიშ, -პრ || -პრ) ბღეჷ (- იშ, -პრ) ბზ. ბღე (- ი/შმ, -პრ) ბჷ, ლნტ. ბღეჷ (ბღეიშ, ბღეპრ) ლშხ. ნაპრალი (მყინვარისა)...“ (თოფურია, ქალდანი 2000: 159).

მაგალითები:

ქართ.: „კლდის ნაპრალი ჭიანჭველებით გაივსო“, სვან.: „კოჯჷშ ბღე მემჷკარშჷ ჟ'ოვგორშლელი“.

მთა-კლდის ნაწილთა აღმნიშვნელ ლექსიკაში ასევე გამოიყოფა მოტივაციით მიღებული სახელები.

როგორც ცნობილია, წარმოქმნის მომენტში ყველა სახელი მოტივირებულია, ე. ი. სემანტიკურად გამჭვირვალეა, სახელდების მიზეზი ნათელია, სიტყვა შესაძლოა მოტივირებული იყოს გრამატიკულად (ე. ი. წარმოებით) და სემანტიკურად (ე. ი. სიტყვის მნიშვნელობით). მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალშისაცემი თვისებაა და არა უთუოდ კონსტიტუცი-

ური არსებითი ნიშან-თვისება – შენიშნავს ბიძინა ფოჩხუა. „მოტივირებული სიტყვა კი თავის თავში მოიცავს ნებისმიერ ენობრივ ელემენტთა კომბინაციას. კომბინაციები შეპირობებულია ამ ენაზე მოლაპარაკე კოლექტივის ენობრივი ჩვევებით“ (ფოჩხუა 1974: 121),

აქვე, მაგალითად, ლექსიკური ერთეული **ცერი**, რომელიც „მთის“ ან „კლდის“ ნაპირზე მიაწინებს (მაშასადამე, მათ ნაწილზე) და საერთოქართველური წარმომავლობისაა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ცერი** არის „კლდის, ნაფხვერის (მოზვავებული ფერდობის) ან მაღალი მთის ნაპირი“ (შდრ. **ცერი** „ყველაზე მსხვილი თითი“); „ამოველ ზეთავის წვერზე იმ საქარბუქო **ცერშია**“ – ვკითხულობთ ხალხურ პოეზიაში. ქართულში **ცერ** – **ცერ**-ი გვაქვს, რომელსაც მეგრულში **ჩანჯ** – (**ჩან** – **ჩანჯ**-ი კით-ი (**ჩან**-ი – **კით**-ი / **ჩან** – **კით**-ი „ცერი“ შეესაბამება, ხოლო სვანურში **ჩერ** – **ჩერ** –**შდ-ოლ** (ბალსზემოურში) **ჩერ** – **შტ-ოლ** (ლაშხურში) ის ასევე მიაწინებს „მსხლის ჯიშზე“. ეს ლექსემა დასტურდება ძვ. ქართულში: მონაგები და სიმდიდრე დაუდგრომელ არს და ეგრეთვე სიგლახაკე, არამედ ორნივე **ცერსა** ზედა დგანან გარდაქცევად; დაჰლენწა **ცერნი** მარიანოსს ებისკოპოსსა. „ქართულ **ცერ**- (< ***ცერ**-) ძირს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრული **ჩანჯ**- : **ნ-ჯ**-ს წინ განვითარებულია და სვანურში **ჩერ**- შემონახულია **ჩერ-შდ-ოლ** (ბზ.), **ჩერ-შტ-ოლ** (ლშხ.) კომპოზიტიში. ***ცერ** არქექტიპი ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის გ. კლიმოვა ადადგინა“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2002: 595).

მაგალითები:

ქართ. „საღამოს ავედი მთის **ცერზე**“, მეგრ.: „ონჯუას ეშველ გოლაშ **ჩანჯიშ**“, სვან.: „ნებოზს ჟოდვერ ლახვშ **ჩერშტოლთეი**“.

ასევე მოტივირებულია ლექსიკური ერთეული **შტო**, რომელიც შემდეგნაირად განიმარტება: „მდინარის, ქედის, რკინისგზის... განაყოფი სხვადასხვა მხრისაკენ, – განშტოება“ (შდრ.: „ხის ან ბუჩქის გამონაზარდი, – ტოტი, რტო“). გადატანით მას ორი მნიშვნელობა აქვს: „1.განაყოფი, დარგი“; 2. ძირითადი გენეალოგიური ხაზის (მაგ., გვარში) განაყოფი“ (ქეგლი VII). სვანურში **შტოს აშხალ** ჰქვია.

მაგალითები:

ქართ.: „ქედის ერთი **შტოდან** ზვავი ჩამოწვა“, სვან.: „ზაგრიშ ეშხვი აშხალხენჩუ ჟჷპ ანჯანდ“.

მოტივირებულად უნდა მივიჩნიოთ აგრეთვე ლექსიკური ერთეული **კალთა**. ის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით არის „დაქანებული, დაფერდებული მხარე (მთისა...)“ (შდრ.: საბასთან „სამოსლის ფესვი“ ქვემოთკენ გაშლილი ტანისამოსის (კაბის, ჩოხის...) ქვედა ნაწილი). გადატანითი მნიშვნელობით **კალთა** არის: „წიადი, უბე“; „მფარველობა, ქომაგობა“... (ქეგლი IV 1955: 1631).

სვანურში **კალთას ლულაჲ** ჰქვია. მეგრულში – **კართე**.

მაგ.: „მთის **კალთას** იები ამშვენებს“, მეგრ.: „გოლაშ **კართეს** იეფ ოსკვამუანს“, სვან.: „ლახვშ **ლულჷს** იოლ ამსგვენის“ (ჩვენი მასალებიდან).

მოტივაციითაა მიღებული ლექსემა **ცხვირი**, რომელიც განიმარტება შემდეგნაირად: „წინ წამოშვერილი ნაწილი (მთისა ან რაიმე საგნისა) (ქეგლი VIII 1964: 687). მეგრულში მისი შესატყვისია **ჩხვინდი**, ხოლო სვანურში **ნეფხუნა**.

მაგალითები:

ქართ.: „**მთის ცხვირიდან** ეკლესია მოჩანდა“, მეგრ.: „გოლაშ **ჩხვინდიშე** ეკლესია ირწყებელუ“, სვან.: „ლახვშ **ნეფხუნახენქა** ლაჯვმი წვანდ“ (ჩვენი მასალებიდან).

მთა-კლდის ნაწილთა აღმნიშვნელი ლექსიკის ერთ ნაწილს ქართველურ ენებში შესატყვისები არ ეძებნება. ეს ლექსიკური ერთეულებია: **ფხაკო**, **ფიქალი**, **ქიმი**, **გოხო**.

მაგალითად, ლექსემა **ფხაკო** ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასეა განმარტებული: „გვერდობი კლდისა“, ხრიოკი ფერდობი“ (ქეგლი VII 1962: 226). სიტყვა **ფიქალი** კი (ამავე ლექსიკონში) ნიშნავს „შრეობრივი აგებულების მთის ქანს“ (ქეგლი VII 1962: 121). ილია აბულაძის ლექსიკონში ლექსემა **ფიქალი** ასე განიმარტება: „შევერიბე **ფიქლები** და ქვები და დავბურე იგი“ (აბულაძე 1973: 445), **ქიმი** კი არის „რაიმეს გამოშვერილი,

წაწვეტილებული ნაწილია“ (ქეგლი VII 1962: 456). ძვ. ქართულში ქიმი არის „წიალი: შევარდა სიტყუაÁ იგი წინასწარმეტყველისაჲ ქიმთა ქუეყანისათა (აბულაძე 1973: 454); საბასთან ქიმი გადატანითი მნიშვნელობით „ეწოდების თევზის ლაყუჩსაცა“; გოხი ნიშნავს „კლდის ნატებს, ლოდს“ (იქვე: 1987: 89)...

როგორც საანალიზო მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკის ერთი ნაწილი საერთოქართველური წარმომავლობისაა.

ვფიქრობთ, ამ ტიპის ლექსიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა ისტორიისა თუ ქართული სალიტერატურო ენის გამდიდრების თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

1. თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ენის ლექსიკონი, თბილისი.
2. სულხან-საბა ორბელიანი 1993 – ლექსიკონი ქართული II, თბილისი.
3. ფოჩხუა 1987 – ბ. ფოჩხუა, თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.
4. ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.
5. ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.
6. ქაჯაია 2002 – ო.ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
7. ქეგლი1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (I–VIII) , თბილისი.
8. ქსე – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-XII, თბილისი.
9. ჩუხუა 2002-2003 – მერაბ ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.